ხელშეკრულება

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელების შესახებ №12
CPV 30100000

ქ. თბილისი „18“ „იანვარი“ 2013წ.

1.ხელშეკრულების მხარეები

1.1 ერთის მხრივ რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, წარმოდგენილი აპარატის უფროსის კახა ოქროჯანაშვილის სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორე მხრივ, ი/მ „გიორგი კანდელაკი - ვესტა“ წარმოდგენილი გიორგი კანდელაკის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი“), "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს“ პუნქტის საფუძველზე (გამარტივებული შესყიდვის საშუალებით), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საჭიროებისათვის კარტრიჯებისა და საკანცელარიო საქონლის (დანართი №1-ის მიხედვით) მიწოდება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 910.11 (ცხრაას ათი ლარი და თერთმეტი თეთრი) ლარს.
3.2. ერთეულის მიხედვით საქონლის ფასი მოცემულია დანრთი №1-ში.
3.3. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

4. მომსახურების ოდენობა, სახეობა და მიწოდების პირობები

4.1. „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს „შემსყიდველისთვის" საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღების საფუძველზე „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და/ან სასაქონლო ზედნადებს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.
6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და/ან სასაქონლო ზედნადები.
6.3 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება 6.2. პუნქტში განსაზღვრული პროცედურის დასრულების შემდეგ 10 სამუშაო დღის ვადაში.
6.4 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და/ან სასაქონლო ზედნადების გამოუწერლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა.

7. მხარეთა უფლებები

7.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს თანხის დროული გადახდა.
7.2 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

7.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
7.2.2 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1. **„მიმწოდებელი“ ვალდებულია:**
8.1.1. დადგენილ ვადაში 4.1 პუნქტის შესაბამისად გადასცეს „შემსყიდველს“ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი.
8.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
8.1.3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „შემსყიდველს“ მისი მოთხოვნის საფუძველზე წარუდგინოს შესყიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტი ან/და მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია.
8.2. **„შემსყიდველი“ ვალდებულია:**
8.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის დროული გადახდა.
8.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

10.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.
11.2. მხარეებმა, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მიმართონ სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს

წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 2 (ორი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების კონტროლი

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს „შემსყიდველის“ მიერ ინსპექტირების ჩატარებისათვის დადგენილი თანამშრომელი (ზ. ზვიადაძე).
14.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.
14.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
14.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
14.5 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
ა) მხარეთა შეთანხმებით.
ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 გვერდზე, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

18.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან".

მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

რეინტეგრაციის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო
მინისტრის აპარატი

მის: ინგოროყვას 7
ს/კ 204548230

კახა ოქროჯანაშვილი

„მიმწოდებელი"

ი.მ "გიორგი კანდელაკი – ვესტა"
ს/კ 01009005243
სს „საქართველოს ბანკი"
BAGAGE22
GE75BG0000000888000801

გიორგი კანდელაკი

დანართი #1

ი.მ გიორგი კანდელაკი ვესტა
01009005243
ქ. თბილისი აღმაშენებლის 55/1

თარიღი: 18/01/2013

გადამხდელი: **რეინტეგრაციის საქითხ.საქ.სახ.მინისტრის აპარატი**
საიდენტიფიკაციო კოდი: 204548230
მისამართი: ინგოროყვას 7
ტელეფონი: 577111011

№	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	კარტრიჯი HPLJP1560/1606CE278/CanonMF4410/4570 CRG728	ცალი	5.000	25.000	125.000
2	კარტრიჯი HP LJ 2035/2055 505	ცალი	2.000	35.000	70.000
3	კარტრიჯი HP LJ P1005 CB435A/712	ცალი	2.000	25.000	50.000
4	კარტრიჯი HP LJ P1102/1102w/M1132/1212nf/LBP6000 CE285A/725	ცალი	5.000	25.000	125.000
5	კარტრიჯი HPLJ1010/1022/1020/1018 M1319f Q2612A	ცალი	10.000	22.000	220.000
6	დაფა ჩამოსაკიდი 90*120 7817	ცალი	1.000	55.000	55.000
7	დაფის სადგამი 7830	ცალი	1.000	70.000	70.000
8	კალმების ჩასადები ბადე (3 ცალიანი კომპ.) LY 9112	ცალი	3.000	2.700	8.100
9	ფანქარი 7079	ცალი	12.000	0.080	0.960
10	მაკრატელი 6034	ცალი	12.000	0.900	10.800
11	მაკრატელი 6027	ცალი	5.000	2.100	10.500
12	დანა საკანცელარიო 2047	ცალი	5.000	1.400	7.000
13	დანა საკანცელარიო 2030	ცალი	10.000	0.750	7.500
14	სათლელი 0578	ცალი	5.000	0.400	2.000
15	საშლელი 3044	ცალი	10.000	0.180	1.800
16	ჩასანიშნი წებოვანი G3030-2 (mix colors)	ცალი	24.000	0.450	10.800
17	წებოვანი დივაიდერი 9063	ცალი	24.000	0.600	14.400
18	ბლოკნოტი ყოველდღიური 201368	ცალი	5.000	6.000	30.000
19	კორექტორი ლენტი 7204	ცალი	2.000	0.800	1.600
20	კორექტორი კალამი Helio-207	ცალი	2.000	0.500	1.000
21	ჩასანიშნი ქაღალდი ფერადი 80*80 299	ცალი	5.000	1.500	7.500
22	ჩასანიშნი ქაღალდი 91/87 7700	ცალი	5.000	0.900	4.500
23	ჩასანიშნი ქაღალდი ყუთით 91/87 7600	ცალი	5.000	1.500	7.500
24	ჩასანიშნი ქაღალდი ფერადი 90*90*90 ყუთით	ცალი	2.000	3.200	6.400
25	ჩასანიშნი ქაღალდი ფერადი 90*90*90	ცალი	1.000	2.400	2.400
26	ანტისტეპლერი 0231	ცალი	5.000	0.470	2.350

27	სტეპლერის ტყვია დიდი N24/6 0012	ცალი	10.000	0.240	2.400
28	სტეპლერი 24/6 0319	ცალი	6.000	1.700	10.200
29	კალამი ბურთულიანი S301	ცალი	36.000	0.250	9.000
30	კლიპფაილი დამჭერით	ცალი	5.000	1.200	6.000
31	სწრაფწამკერი	ცალი	12.000	0.200	2.400
32	ფლიპჩარტის ქაღალდი	ცალი	3.000	7.000	21.000
33	დაფის მარკერი	ცალი	10.000	0.400	4.000
34	მარკერი პერმანენტული	ცალი	10.000	0.300	3.000
		ჯამი:	260.00	295.12	910.11

	ი/მ გიორგი კანდელაკი ვესტა
ბანკის დასახელება:	საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი:	BAGAGE22
ანგარიშის ნომერი:	GE75BG0000000888000801

ხელმოწერა